



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
„ბიოლოგია“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30.11.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 28.01.2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიოლოგია Biology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიოლოგიის ბაკალავრი, Bachelor of Biology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბიოლოგია 0511 Biology 0511
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №419, 09.12.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ღაჭავაძე - სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ჯაფარიძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ენტომოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციციშვილი - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
--	--

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ წარმოადგენს მოქმედ საბაკალავრო პროგრამას, რომელიც ხორციელდება სსიპ-იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტში.

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქციის“ მიხედვით.

ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს თანამედროვე ბიოლოგიის ძირითადი მიმართულებებისა და ცალკეული დარგების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა და გამოუმუშავოს შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობისა და კვლევის წარმოების ბაზისური უნარ-ჩვევები; მოამზადოს განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებისა და საქართველოს შრომის ბაზრის შესაბამისი ბიოლოგიის ბაკალავრის სპეციალისტი, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე; სტუდენტს შეუქმნას მყარი საფუძველი შემდგომი საფეხურის აკადემიური პროგრამების დაუფლებისათვის.

პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო პროგრამის მოცულობა 240 კრედიტი, რომელიც შემდეგი სახითაა გადანაწილებული: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 120 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები – 15 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები – 35 კრედიტი და არჩევითი – 10 კრედიტი; დამატებით (minor) პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტი – 60 კრედიტი. დამატებითი (minor) პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებისგან - 55 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსებისგან - 5 კრედიტი.

ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 29 პირი (პროფესორი – 4, ასოცირებული პროფესორი – 12, ასისტენტ პროფესორი – 5, მოწვეული სპეციალისტი – 8. შეფარდება 21/8). მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სასწავლო კურსების განხორციელებას უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ბიოლოგიის კვალიფიკაციის მქონე 6 აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი, 2 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი) და 5 მოწვეული სპეციალისტი.

ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ამზადებს ბიოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე კადრს, რომელიც დასაქმდება სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაციებში; ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ორგანიზაციებში; ზოოპარკებში; ბოტანიკურ ბაღებში; დაცულ ტერიტორიებში; ბუნებრივი რესურსების

გამოყენებასთან დაკავშირებულ საწარმოებსა და კომპანიებში; ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებში.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 620 0001096715) მიხედვით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ სააკრედიტაციო შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად განხორციელდა დისტანციურად მიმდინარე წლის 30 ნოემბერს. ვიზიტამდე ჯგუფის თავჯდომარემ დისტანციურად ჩაატარა მოსამზადებელი შეხვედრა და ჯგუფის წევრებმა ერთმანეთში გაცვალეს უსდ-ს მიერ გადმოგზავნილი მასალების გაცნობის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებები, ჩამოაყალიბეს საკითხები და სავარაუდო კითხვების ჩამონათვალი/საინტერესო საკითხები, რომლებიც გარკვეული იქნებოდა ვიზიტის დღეს სხვადასხვა ჯგუფებთან გასაუბრებისას, ასევე ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

30 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ დროს ესპერტთა სრული შემადგენლობით და დისტანციურ რეჟიმში (Zoom-ის გამოყენებით). სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და უსდ-ს მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ესპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის კრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 1.1 კომპონენტი - შესაბამისობაშია და 1.2 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.1 და 2.4 -კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.3, 2.5 და 2.6 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2. კომპონენტი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, რადგან 4.1 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 4.2 და 4.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.4 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, რადგან 5.1. და 5.2. კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 5.3 კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები „პასუხისმგებლობა ავტონომიურობის“ შედეგთან მიმართებაში და შემდეგ აისახოს ის პროგრამის შედეგებშიც.
- რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების „განვითარების ბიოლოგია“ და „მოლეკულური ბიოლოგია“ სტატუსი განისაზღვროს როგორც სავალდებულო.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებიდან „ციტოლოგია“ და „უჯრედის ბიოლოგია“ პროგრამაში მხოლოდ ერთის დატოვება.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების „ზოგადი ტოქსიკოლოგია“, „ჰემატოლოგია“ და „ბიოსოციოლოგია“ სწავლების საფეხურთან შესაბამისობის გადახედვა.
- რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები „ენტომოლოგია“, „სტატისტიკა“, „იმუნოლოგია“, „ბიოტექნოლოგია“.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსს „პარაზიტოლოგია“ წინაპირობად განესაზღვროს „უხერხემლოთა ზოოლოგია“, სასწავლო კურსს „ბიოგეოგრაფია ბიომრავალფეროვნების საფუძვლებით“ კი „მცენარეთა სისტემატიკა“ და „ხერხემლიანთა ზოოლოგია“.
- რეკომენდებულია კრედიტების რაოდენობის კორექტირება სასწავლო კურსების შინაარსისა და სპეციფიურობის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის განახლება.
- რეკომენდებულია პროგრამის რესურსების გათვალისწინებით რამდენიმე სასწავლო კურსში მოხდეს ლაბორატორიული მუშაობების გამოყოფა და მათი განხორციელებისთვის საჭირო საათების რაოდენობის განსაზღვრა.
- რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დროში გაწერილი პერსონალის განვითარებისა და შევსების სტრატეგია.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა სათანადოდ უზრუნველყოს პროფესორ-მასწავლებლების ინფორმირება დარგში არსებული რეიტინგული ჟურნალებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ.
- რეკომენდებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზება.
- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შიდა ხარისხის შეფასება განხორციელდეს დეტალებზე ორიენტირებული მიდგომით.
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს გარე ხარისხის (დამსაქმებელი) შეფასებით მიღებული შედეგების გათვალისწინების მონიტორინგი.

რჩევები

- სასურველია გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების რუკა და გასწორდეს რამდენიმე შეცდომა.
- სასურველია სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათების განაწილების შესახებ ინფრომაციის დამატება.

- სასურველია სასწავლო გეგმაში დაფიქსირდეს ძირითადი სწავლის სფეროს და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების განხორციელების სემესტრები.
 - სასურველია „ეკოლოგიის საფუძვლები“ და „ცოცხალი ბუნების დაცვა“ გაერთიანება ერთ სასწავლო კურსად და შესაბამისად კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა.
 - სასურველია სასწავლო კურსების „ადამიანის ანატომია“, „ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგია“ და „ნერვკუნთის ფიზიოლოგია“ გაერთიანება ორ სასწავლო კურსად „ანატომია“ და „ფიზიოლოგია“ და შესაბამისად კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა.
 - სასურველია აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების (CV-ები) სტანდარტული ფორმით წარმოდგენა.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
 - ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

- პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა „ქვეყნის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება სხვა და სხვა მიმართულებით; რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცოდნის შექმნა, დაგროვება და გაზიარება აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, რეგიონის განვითარებისათვის ტურიზმის მიმართულების გაძლიერება და განათლების მიმართულების განვითარების ხელშეწყობა. საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება; სწავლის ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზება და განათლების ინტერნაციონალიზაცია სტაბილურად.“

უსდ-ს მისიიდან გამომდინარე პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა განსაზღვრა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ მიზანი - „სტუდენტებს მიაწოდოს თანამედროვე ბიოლოგიის ძირითადი მიმართულებებისა და ცალკეული დარგების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა და გამოუმუშავოს შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობისა და კვლევის წარმოების ბაზისური უნარ-ჩვევები; მოამზადოს განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებისა და საქართველოს შრომის ბაზრის შესაბამისი ბიოლოგიის ბაკალავრის სპეციალისტი, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე; სტუდენტს შეუქმნას მყარი საფუძველი შემდგომი საფეხურის აკადემიური პროგრამების დაუფლებისათვის“. აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზადაა უზრუნველყოს სტუდენტზე ორიენტირებული და პერსონალის საქმიანობისთვის ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მაღალი ხარისხით განხორციელებას და მაღალკვალიფიციური, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული კადრის მომზადებას ბიოლოგიის დარგში.

პროგრამის მიზანი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან.

პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (https://tesau.edu.ge); • დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-----</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-----</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)</p> <p>-----</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-----</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულებისას, კერძოდ - საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი უნარები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>1. მიმოიხილავს ცოცხალ ორგანიზმთა სტრუქტურას, ფუნქციას, რეპროდუქციას, ზრდა-განვითარებას, წარმოშობას, ევოლუციას, ქცევას, ბიომრავალფეროვნებას, გავრცელებას და ეკოლოგიას. აღწერს ბიოლოგიურ ტერმინოლოგიას, ტაქსონომიის და კლასიფიკაციის ძირითად პრინციპებს, ცოცხალი ბუნების მრავალფეროვნების ძირითად პრინციპებსა და კონცეფციებს, ცოცხალი ბუნების დაცვის ბიოეკოლოგიურ საფუძვლებს.</p>

2. სხვა საბუნებისმეტყველო და ბიოლოგიასთან დაკავშირებული მეცნიერებების გამოყენებით ხსნის, პროგნოზირებს და ერთმანეთს ადარებს ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ბიოლოგიურ მოვლენებს;
3. აღწერს ბიოლოგიის უახლეს ექსპერიმენტულ და საველე კვლევის მეთოდებს. ბიოლოგიური სისტემების, მათი კვლევის ზოგადი პრინციპების და ბიოლოგიის სხვადასხვა დარგის მიდგომის თავისებურებებს;
4. განსაზღვრავს ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის პრინციპების დაცვის მნიშვნელობას.

უნარი

5. ახდენს ბიოლოგიის სფეროში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას, იყენებს პრაქტიკულ უნარებს ცოცხალ ორგანიზმსა და უჯრედებში მიმდინარე მოლეკულურ-გენეტიკური, ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესების რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად.
6. კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ახდენს საკვლევის საკითხის იდენტიფიცირებას, გეგმავს და ახორციელებს ბიოლოგიის სფეროში - ბოტანიკის, ზოოლოგიის, ბიოქიმიის, ციტოლოგიის, ჰისტოლოგიის, ადამიანის ანატომიის, ცხოველთა და მცენარეთა ფიზიოლოგიის, ზოგადი გენეტიკის, ზოგადი მიკრობიოლოგიის სხვადასხვა სახის პრაქტიკულ/ლაბორატორიულ და საველე სამუშაოს, ექსპერიმენტს, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს.
7. განმარტავს, სისტემაში მოყავს, აანალიზებს და აფასებს ბიოლოგიის სფეროში პრაქტიკული/ლაბორატორიული და საველე სამუშაოების პროცესში მიღებულ განწყენებულ მონაცემებსა და სიტუაციებს, რის საფუძველზეც აყალიბებს სათანადო დასკვნებს ცოცხალი ორგანიზმების თავისებურებების, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი განვითარების შესახებ, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი სამეცნიერო ან/და ეთიკური საკითხები.
8. ამყარებს კომუნიკაციას ბიოლოგიის სფეროში იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.

შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის სწავლის შედეგები არის რეალისტური, გაზომვადი, მიღწევადი, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციის დონეს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე გარემოება, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს პროგრამის სწავლის ერთერთი შედეგის „ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის“ მიღწევა. კერძოდ, სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“, რომელიც თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსია, ავითარებს აღნიშნულ შედეგს და გაწერილია კიდევ სილაბუსში. სასწავლო კომპონენტების „საბაკალავრო ნაშრომი“ და „საველე პრაქტიკა“ შესრულება სტუდენტის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ პასუხისმგებლობებს, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების უმეტესობაში შედეგში „ცოდნა და გაცნობიერება“ მიიღწევა შედეგი „განსაზღვრავს ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის პრინციპების დაცვის მნიშვნელობას“.

დამსაქმებლების გამოკითხვებში ერთ-ერთი მოთხოვნაა მაღალი პასუხისმგებლობის მქონე კვალიფიციური კადრის მომზადება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები „პასუხისმგებლობა, ავტონომიურობის“ შედეგთან მიმართებაში და შემდეგ აისახოს ის პროგრამის შედეგებშიც.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია კავშირი სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის; სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელიც აჩვენებს სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, თუ როგორი დონით ავითარებს (1-გაცნობა, 2-გაღრმავება, 3-განმტკიცება), პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. აღნიშნული რუკებიდან გადასახედია სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რადგან მასში ფიქსირდება რამდენიმე დეტალი, რომელიც საჭიროებს გასწორებას, კერძოდ, რუკაში მითითებულია რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელიც შედეგ 2 (1.2) -ს ავითარებს გაცნობის დრონზე და არ არის მითითებული თუ რომელი სასწავლო კურსებით ხდება აღნიშნული შედეგის გაღრმავება და განმტკიცება, ასევე შედეგი 8(2.4) მითითებულია მხოლოდ ის სასწავლო კომპონენტი, რომელიც მას განამტკიცებს, მაგრამ არ არის ნაჩვენები სად ხდება გაცნობა და გაღრმავება აღნიშნული შედეგის და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი მტკიცებულებად განიხილება მათი აკადემიური მოსწრება, კერძოდ, ქულები, რომლებსაც ისინი აგროვებენ შუალედური და დასკვნითი გამოცდებით, ასევე სხვადასხვა ტიპის აქტივობებით, რომელთა შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები სასწავლო კურსის სილაბუსებშია გაწერილი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგამოცდო ცენტრისა და განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემის (aems.tesau.edu.ge) მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული მახრეების (აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების) გამოკითხვით მიღებული შედეგების ანალიზით. საჭიროების შემთხვევაში კეთდება რეკომენდაციები, რაც ასევე ემსახურება პროგრამის განვითარებას.

პროგრამაში განსაზღვრულია თითოეული სწავლის შედეგისთვის სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის გამოკითხვის ფორმები და გამოკითხვის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები;

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები „პასუხისმგებლობა, ავტონომიურობის“ შედეგთან მიმართებაში და შემდეგ აისახოს ის პროგრამის შედეგებშიც.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> სასურველია გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების რუკა და გასწორდეს რამდენიმე შეცდომა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-----</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-----</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ სტუდენტი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ასევე პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და მისი ჩარიცხვა პროგრამაზე რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ. აღნიშნული შეესაბამება სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ბაკალავრიატის დონის შესაბამისია, გამჭვირვალე და სამართლიანი.</p> <p>ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისთვის ხდება უნივერსიტეტის ვებ გვერდის საშუალებით, სადაც უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი ატვირთული, ხოლო სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია ასევე მიიღეს ღია კარის დღეზე, რის შემდეგაც გააკეთეს არჩევანი პროგრამაზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://tesau.edu.ge
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-----</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-----</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-----</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-----</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქციის გამოყენებით.

საგანმანათლებლო პროგრამა ანიჭებს ბიოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციას. პროგრამის შინაარსი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოში დეტალურ სფეროს აღმწერს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს - 240 კრედიტია, რომელიც ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 120 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 15 კრედიტი
- თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი - 35 კრედიტი
- თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 10 კრედიტი
- დამატებითი (Minor) პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

დამატებითი (minor) პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებისგან - 55 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსებისგან - 5 კრედიტი.

მოცემული განაწილებიდან ჩანს, რომ ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებას სტუდენტებისთვის.

სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმაში დაემატოს ინფორმაცია საკონტაქტო საათების განაწილების შესახებ, რაც მას გახდის უფრო ინფორმაციულს.

სასწავლო გეგმაში ასევე სასურველია დაფიქსირდეს ძირითადი სწავლის სფეროს და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების განხორციელების სემესტრები.

პროგრამის სტრუქტურაში საჭიროა შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

არჩევითი სასწავლო კურსები „განვითარების ბიოლოგია“ და „მოლეკულური ბიოლოგია“ უნდა გახდეს სავალდებულო და „მოლეკულური ბიოლოგიის“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ბიოქიმია“; მიგვაჩნია, რომ სასწავლო კურსები „ზოგადი ტოქსიკოლოგია“, „ჰემატოლოგია“, „ბიოსოციოლოგია“ მეტად შეესაბამება სწავლების შემდეგ საფეხურს; პროგრამაში სასწავლო კურსებიდან „ციტოლოგია“ და „უჯრედის ბიოლოგია“ უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი სავალდებულო სასწავლო კურსის სახით, რადგან ორივე სასწავლო კურსის მიზანი არის უჯრედის შესწავლა და სილაბუსებში ადგილი აქვს გადაფარვებს; კარგი იქნება თუ პროგრამას დაემატება სასწავლო კურსები „ენტომოლოგია“, „სტატისტიკა“, „იმუნოლოგია“, „ბიოტექნოლოგია“; სასწავლო კურსს „პარაზიტოლოგია“ საჭიროა წინაპირობად განესაზღვროს „უხერხემლოთა ზოოლოგია“, სასწავლო კურსს „ბიოგეოგრაფია ბიომრავალფეროვნების საფუძვლებით“ კი „მცენარეთა სისტემატიკა“ და „ხერხემლიანთა ზოოლოგია“.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსში მეტწილად გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი, თუმცა უსდ-მ უნდა უზრუნველყოს პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობა.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე, დაინტერესებული პირებისათვის ხდება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ინფორმაციის მიწოდება, ღია კარის დღეების ორგანიზება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქციის
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების „განვითარების ბიოლოგია“ და „მოლეკულური ბიოლოგია“ სტატუსი განისაზღვროს როგორც სავალდებულო.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებიდან „ციტოლოგია“ და „უჯრედის ბიოლოგია“ პროგრამაში მხოლოდ ერთის დატოვება.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების „ზოგადი ტოქსიკოლოგია“, „ჰემატოლოგია“ და „ბიოსოციოლოგია“ სწავლების საფეხურთან შესაბამისობის გადახედვა.
- რეკომენდებული პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები „ენტომოლოგია“, „სტატისტიკა“, „იმუნოლოგია“, „ბიოტექნოლოგია“;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსს „პარაზიტოლოგია“ წინაპირობად განესაზღვროს „უხერხემლოთა ზოოლოგია“, სასწავლო კურსს „ბიოგეოგრაფია ბიომრავალფეროვნების საფუძვლებით“ კი „მცენარეთა სისტემატიკა“ და „ხერხემლიანთა ზოოლოგია“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათების განაწილების შესახებ ინფორმაციის დამატება.
- სასურველია სასწავლო გეგმაში დაფიქსირდეს ძირითადი სწავლის სფეროს და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების განხორციელების სემესტრები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა. სილაბუსში მოცემული კომპონენტები ძირითადად იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, სწავლების საფეხური, სასწავლო კურსის სტატუსი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, ლიტერატურა, სასწავლო კურსის შინაარსი. სილაბუსის მეშვეობით სტუდენტი ღებულობს ინფორმაციას თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს, რომ შეძლოს გასვლა კურსის სწავლის სასურველ შედეგებზე.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად პასუხობენ პროგრამის სწავლის შედეგებს და შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების უმეტესობა 5 კრედიტიანია. ვფიქრობთ, რომ უნდა მოხდეს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის კიდევ ერთხელ გადახედვა და შესაბამისი კორექტირება, კერძოდ, სასწავლო კურსების „ჰისტოლოგია“, „პარაზიტოლოგია“, „ბიოეკოლოგია“, „ბიოსოციოლოგია“, „ბიოეთიკა“, „გარემოს ფაქტორები და ჯანმრთელობა“, „შესავალის ფილოსოფიურ აზროვნებაში“ მოცულობა შეიძლება განისაზღვროს 3 ან 4 კრედიტით.

5 კრედიტიან სასწავლო კურსებში საათების საერთო რაოდენობა - 125 სთ აერთიანებს საკონტაქტო (46 სთ) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილ (79 სთ) საათებს. საკონტაქტო საათები სასწავლო კურსების უმეტესობაში განაწილებულია შემდეგი სახით: ლექცია -13 სთ, პრაქტიკული მუშაობა - 13 სთ, სემინარი -13 სთ, პრეზენტაცია - 3 სთ, შუალედური გამოცდა - 2 სთ, დასკვნითი გამოცდა -2 სთ. ვფიქრობთ ისეთ სასწავლო კურსებში როგორცაა „ზოგადი მიკრობიოლოგია ვირუსოლოგიით“ და „ ბიოქიმია“ მიზანშეწონილი იქნებოდა საკონტაქტო საათების განაწილება ლექცია, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მუშაობებზე.

პროგრამაში შესაძლოა სამი სასწავლო კურსი „ადამიანის ანატომია“, „ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგია“ და „ნერვუნთის ფიზიოლოგია“ გარდაიქმნას 2 საგნად „ანატომია“ და „ფიზიოლოგია“, ხოლო დეტალურად შეიძლება შესწავლილ იქნას სწავლების

შემდგომ საფეხურზე; სასწავლო კურსების „ეკოლოგიის საფუძვლები“ და „ცოცხალი ბუნების დაცვა“ გაერთიანდეს „ეკოლოგიის საფუძვლებში“; სასწავლო კურსს „ბიოგეოგრაფია ბიომრავალფეროვნების საფუძვლებით“ წინაპირობად სასურველია ქონდეს ზოოლოგიები და მცენარეთა სისტემატიკა. ამასთან აღნიშნული საგანი „ბიოგეოგრაფია“, შესაბამისად უნდა მოხდეს ახალი საგნის ბიომრავალფეროვნების ცალკე სილაბუსის მომზადება. ამას ცხადყოფს გამოყენებული ლიტერატურაც და ბიომრავალფეროვნების მიმართ ინტერესი გამოიკვეთა დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროსაც.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა იძებნება უნივერსიტეტის ელექტრონულ კატალოგში და სტუდენტებისთვის არის ხელმისაწვდომი როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ანახლებს ბიბლიოთეკაში წიგნად ფონდს და ელექტრონულ ბაზებს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის შინაარსს, მაგრამ რამდენიმე სასწავლო კურსში საჭიროებს განახლებას. მაგ: მცენარეთა სისტემატიკა, ბიოგეოგრაფია ბიომრავალფეროვნების საფუძვლებით, ცოცხალი ბუნების დაცვა, ბიოეთიკა, ეკოლოგიის საფუძვლები)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კრედიტების რაოდენობის კორექტირება სასწავლო კურსების შინაარსისა და სპეციფიურობის გათვალისწინებით
- რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის განახლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია „ეკოლოგიის საფუძვლები“ და „ცოცხალი ბუნების დაცვა“ გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად და შესაბამისად კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა.
- სასურველია სასწავლო კურსების „ადამიანის ანატომია“, „ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგია“ და „ნერვუნთის ფიზიოლოგია“ გაერთიანდეს ორ სასწავლო კურსად „ანატომია“ და „ფიზიოლოგია“ და შესაბამისად კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

➤ პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსი „საველე პრაქტიკა“, რომლის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს საველე კვლევის მეთოდები, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების რკვევა, საპერბარიუმო მასალის შეგროვება, აღებული საკვლევი ნიმუშების და მასალების კამერალური დამუშავება, ჰერბარიუმების დამზადება. საველე პრაქტიკის მიმდინარეობისას სტუდენტი აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, სადაც აღწერს ყოველდღიურ საქმიანობას, ამზადებს ანგარიშს, შესრულებული სამუშაოების შესახებ და ახდენს მის დაცვას. ყოველივე სტუდენტს უვითარებს პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევებს.

სტუდენტები მონაწილეობენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში, სამეცნიერო პიკნიკში. სტუდენტები რეგულარულად მონაწილეობენ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და CENN-ის მიერ დაფინანსებულ სეზონურ სკოლებში, თესაუ-ს სტუდენტ- ბაკალავრთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სკოლა-კონფერენციებში, რაც დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს.

პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარების მიზნით, უსდ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დამსაქმებლებთან, კერძოდ, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან და სხვა. დამსაქმებელმა ინტერვიუს დროს დაადასტურა უსდ-სთან მჭიდრო თანამშრომლობა და ისაუბრეს პროგრამის კურსდამთავრებულებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- მემორანდუმები;
- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი(www.tesau.edu.ge).
- ინტერვიუ

<p>რეკომენდაციები:</p> <p>-----</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-----</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-----</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-----</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>➤ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიოლოგია“ სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უშუალო მონაწილეობით, ისე ბაკალავრის დამოუკიდებელი მუშაობის გზით. სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების ისეთი ფორმები, როგორცაა: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა, ხოლო რაც შეეხება სწავლება-სწავლის მეთოდებს, შეიძლება გამოყენებული იქნას რამდენიმე მეთოდი სასწავლო კურსების სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლების ერთ-ერთი ფორმა ლაბორატორიული მუშაობაა, რომელიც მხოლოდ ორი სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება „ორგანული ქიმია“ და „ზოგადი ფიზიკის საფუძვლები“, თუმცა სასწავლო კურსებში „ბიოქიმია“, „ზოგადი და არაორგანული ქიმია“, „ზოგადი მიკრობიოლოგია ვირუსოლოგიით“, „მცენარეთა ფიზიოლოგია“, „ჰემატოლოგია“ სწავლის შედეგების ნაწილში ფიქსირდება უნარები, რომელთა მიღწევა სწავლების ფორმის - ლაბორატორიული მუშაობის გამოყენებით არის შესაძლებელი. რეკომენდებულია პროგრამის რესურსების გათვალისწინებით სასწავლო კურსებში მოხდეს ლაბორატორიული მუშაობების გამოყოფა და მათი განხორციელებისთვის საჭირო საათების რაოდენობის განსაზღვრა.</p>

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია პროგრამის რესურსების გათვალისწინებით რამდენიმე სასწავლო კურსში მოხდეს ლაბორატორიული მუშაობების გამოყოფა და მათი განხორციელებისთვის საჭირო საათების რაოდენობის განსაზღვრა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-----</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-----</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-----</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>➤ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის შეფასების სისტემა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულებით (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი №3, 10.03.2017 წ.).</p> <p>სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება შუალედური შეფასებებით (არანაკლებ 60 ქულა) და დასკვნითი გამოცდით (არაუმეტეს 60 ქულა). ამ ფორმების ქულათა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები განსაზღვრულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით და ადგენს სილაბუსის ავტორი/ავტორები. სილაბუსებში გაწერილი შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები იდენტურია სასწავლო კურსების უმეტესობაში, ამიტომ რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს გამოყენებული შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები.</p>

პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრულია შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვრები. დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა გადალახოს შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარი, ხოლო დასკვნით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა და ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი გადალახავს დასკვნითი გამოცდისთვის დაწესებულ მინიმალურ ზღვარს. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადებითი შეფასებით. შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მეშვეობით.

საველე პრაქტიკაში სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სილაბუსში გადანაწილებულია შეფასების კომპონენტებისა და ქულების მიხედვით და დეტალურად არის აღწერილი სილაბუსში.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. კრედიტის მიღება შესაძლებელია მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. დეტალური ინფორმაცია მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსსა და საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულებაში.

ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსების ბეჭდურ და/ან ელექტრონულ ვერსიებს, სასწავლო კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები. ასევე სასწავლო კურსის მიმდინარეობის მანძილზე სტუდენტს საშუალება აქვს თვალი ადევნოს თავის მიმდინარე შეფასებებს, იქონიოს მუდმივი კონტაქტი ლექტორთან და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე. აღნიშნულის შესაძლებლობას სტუდენტს აძლევს უნივერსიტეტში არსებული მართვის ავტომატიზირებული სისტემა (aems.tesau.edu.ge).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ახორციელებს სტუდენტების შეფასების შედეგების ანალიზს, რომელსაც იყენებს სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”(წარმომადგელობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5, 14.03. 2018)
- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საგამოცდო ცენტრის დებულება (წარმომადგელობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5, 11.04. 2016)
- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემა (aems.tesau.edu.ge)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -----
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -----
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -----
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტი კონსულტაციებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე საგანმანათლებლო პროგრამების /სასწავლო კურსების შინაარსის, წიაპირობების, კრედიტების დგროვების და სხვა საკითხების შესახებ იღებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის ხელმძღვანელისგან და პროგრამის ხელმძღვანელისგან.

პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების დონეზე კონსულტაციებს იღებენ ლექტორებისგან. როგორც ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, ლექტორები სილაბუსს აცნობენ პირველსავე ლექციაზე და სილაბუსის მეშვეობით სტუდენტი იღებენ ინფორმაციას თუ რა და როგორ უნდა ისწავლო, რომ შეძლოს სასწავლო კურსის სწავლის სასურველი შედეგების მიღწევა. ინტერვიუს დროს ადმინისტრაციამ და პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტები ინფორმაციას სასწავლო პროცესის, სასწავლო კურსების, აკადემიური მაჩვენებლების შესახებ ასევე იღებენ განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემის (aems.tesau.edu.ge) დახმარებით.

უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ სტუდენტები ინფორმაციას იღებენ ვებ გვერდიდან, ასევე ადმინისტრაციისგან, პროგრამის ხელმძღვანელისა და ლექტორ მასწავლებლებისგან, რაც დაადასტურეს გასაუბრების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სტიპენდიების, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, მობილობის შესახებ. ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ საშუალებად სტუდენტის მხრიდან დასახელდა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღია კარის დღე, სადაც მან მიიღო ინფორმაცია ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შესახებ როგორც აბიტურიენტმა და გააკეთა არჩევანი.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერის ღონისძიებებზე, კერძოდ, ეს ეხებოდა სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ კონფერენციებსა და ზაფხულის სკოლებში მონაწილეობის დაფინანსებას, საველე პრაქტიკის ორგანიზების პროცესში დახმარებას და აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეუფერხებლად გავლის უზრუნველყოფას.

კურსდამთავრებულება ისაუბრეს პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან მჭირდო კომუნიკაციის შესახებ და განსაკუთრებით გამოყვეს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდი, რომლის წარმატებით დასრულების საფუძვლად მიიჩნევენ იმ მხარდაჭერას, ინტენსიურ კონსულტაციებსა და აქტიურ კომუნიკაციას, რომელიც არსებობდა ნაშრომზე მუშაობის პერიოდში სწავლების პროცესში ჩართულ ყველა რგოლთან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული ზრდის და განვითარების სერვისი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს კარიერული განვითარების დაგეგმვის საკითხებში. კარიერული ზრდის სერვისის საქმიანობა მოიცავს: პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებას და ერთიან მონაცემთა ბაზის შექმნას; დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას და რეგულარული კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით; სტუდენტების მონაცემთა გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიებას; შრომის ბაზრის დინამიკის

<p>რეგულარულ ანალიზს და არსებული ვაკანსიების მონიტორინგს; დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების დახმარებასა და ხელშეწყობას; დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას; სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შესახებ კვლევას მათი კარიერული, პიროვნული და აკადემიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით; ფაკულტეტებთან ერთად, პროგრამების შემუშავებაში პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის ხელშეწყობას.</p> <p>უსდ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ინდიკატორს საერთაშორისო მობილობასა და პროექტებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობის ყოველწლიურად ზრდა წარმოადგენს. ამ მიზნით გეგმავს გაცვლითი პროექტების ფარგლებში სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრის ფუნქციები (სსიპ იაკობ გოგებაშვილი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება); • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-----</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-----</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)</p> <p>-----</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-----</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>-----</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>-----</p>
<p>რეკომენდაციები:</p>

----- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -----
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -----
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -----
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის განისაზღვრისას იყენებს პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ განხორციელებაში ჩართული 29 პირიდან 4 პროფესორია, 12 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ-პროფესორი, 8 მოწვეული სპეციალისტი. მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სასწავლო კურსების განხორციელებას უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტის ბიოლოგიის კვალიფიკაციის მქონე 6 აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი, 2 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი) და 5 მოწვეული სპეციალისტი.

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობისას, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტის „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ“ შესწავლისას, რომელშიც მითითებულია აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით, გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევაში აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია (ბიოლოგიის მიმართულელების გათვალისწინებით) და გამოქვეყნებული შრომები არ მოდის შესაბამისობაში მათ მიერ განსახორციელებელ სასწავლო კურსებთან. ინტერვიუების დროს მიზეზად დასახელდა უსდ-ს რეგიონში არსებობით გამოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების არ არსებობა და მათ მოზიდვასთან დაკავშირებული სირთულეები, რის გამოც უსდ-სთვის არ არის მარტივი პროგრამის ადამიანური რესურსის განახლება. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს დროში გაწერილი პერსონალის განვითარებისა და შევსების სტრატეგია. კონკურსების გამოცხადების დროს და პროგრამის განხორციელებისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევისას ყურადღება მიაქციოს მათ კვალიფიკაციას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის განხორციელების მაღალი ხარისხი და პროგრამის სწავლის შედეგების მაქსიმალური მიღწევადობა. აღნიშნული შეამცირებს ერთი აკადემიური პერსონალის მიერ განსახორციელებელი ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულეების სასწავლო კურსების რაოდენობას.

პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთა პირადი საქმეების გაცნობითა და გასაუბრებით დგინდება, რომ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო ცოდნა, ორივე მათგანი წლების განმავლობაში წარმართავდა სწავლების პროცესს და უშუალოდ არიან ჩართულები პროგრამის განხორციელებაში. რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში ისინი მართავდნენ და კოორდინირებას უწევდნენ პროგრამის მოდიფიცირების პროცესს და თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალის ნაწილს ბოლო 10 წლის განმავლობაში არ გააჩნია მაღალრეიტინგულ ჟურნალში ან იმფაქტფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია. ამასთან რიგ შემთხვევებში გაურკვეველია რა ფორმატითაა წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის CV-ები, რაც სტანდარტიზაციას მოითხოვს.

გასაუბრების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან აქტიური კომუნიკაციის, საგანმანათლებლო პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი მხრიდან გაწეული კონსულტაციების, სწავლის პროცესში შექმნილი

პრობლემების გადაჭრის პროცესში მათი მუდმივი ჩართულობის, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მათ მიერ დამსაქმებლებთან გაწეული რეკომენდაციების და უსდ-ს მხრიდან მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები
- პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- თესაუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დროში გაწერილი პერსონალის განვითარებისა და შევსების სტრატეგია.
- რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებელ აკადემიური პერსონალის ნაწილს ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ჰქონდეს სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში ან იმფაქტფაქტორის მქონე ჟურნალში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების (CV-ები) სტანდარტული ფორმით წარმოდგენა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების პროცესი ერთწლიანი ციკლია და მოიცავს როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასებას. შეფასებისთვის უსდ იყენებს პერსონალის კმაყოფილების კვლევას და პერსონალის ანგარიშს ინდივიდუალური დატვირთვის შესრულების შესახებ.

ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ უსდ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის სქემა ივსება ყოველი სემესტრის დასაწყისში და ყოველკვირეული დატვირთვა შეადგენს 8 საათს, დატვირთვის შესრულების შეფასება კი ხდება სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. დატვირთვის შესრულების შესახებ მათ მიერ წარდგენილი ანგარიში დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარედგინება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

შეფასების შედეგების გათვალისწინებით უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სისტემატურად ახორციელებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის სხვადასხვა ღონისძიებებს, ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს, აფინანსებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, კონფერენციებში მონაწილეობას, აქტიურად უჭერს მხარს მათ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო და/ან ადგილობრივ პროექტებში ჩართულობას, რაც დაადასტურა ინტერვიუს დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა.

მოწოდებული დოკუმენტების გაცნობისას გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ ხელმძღვანელები და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდნენ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში, საერთაშორისო კონფერენციებში და სხვა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართულმა რვა პროფესორმა და ოთხმა სტუდენტმა Erasmus+ პროექტისა (იტალიის ქალაქ ვიტერბოს ტუმას უნივერსიტეტში, საფრანგეთში პაულ-ბოკუსას უნივერსიტეტში, ბულგარეთის ქალაქ რუსეს ანგელ კერჩნევის სახელობის უნივერსიტეტში) და მევლანას გაცვლითი პროგრამის ფარგლებში (პერსონალის მობილობა სწავლებისათვის) მონაწილეობა მიიღეს გაცვლით პროგრამებში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი ჩართულია კვლევაში და აქვეყნებს სამეცნიერო შრომებს ბიოლოგიის სფეროს აქტუალურ პრობლემებზე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. თუმცა პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობისას დაფიქსირდა, რომ შრომები გამოქვეყნებულია გაურკვეველი წარმომავლობის, მტაცებლურ ჟურნალებში. უნივერსიტეტმა სათანადოდ უნდა უზრუნველყოს პროფესორ-მასწავლებლების ინფორმირება დარგში არსებული რეიტინგული ჟურნალების შესახებ, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია იმ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვებ-გვერდი), რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს მოახდინოს უახლესი ცოდნისა და პრაქტიკების გაზიარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> • იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ და დამხმარეპერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • უნივერსიტეტისადამიანური რესურსების სამსახურის პერსონალის შეფასების ანგარიშები; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; • საერთაშორისო თანამშრომლობები; • ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია უნივერსიტეტმა სათანადოდ უზრუნველყოს პროფესორ-მასწავლებლების ინფორმირება დარგში არსებული რეიტინგული ჟურნალებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -----
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -----
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -----
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
<p>➤ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სწავლება/სწავლის პროცესში არსებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. კერძოდ, შეუზღუდავი ინტერნეტითა და უახლესი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები, საკონფერენციო და საპრეზენტაციო დარბაზები, აუდიტორიები, ბიოლოგიისა და ქიმიის ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა.</p>

რადგან აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების (Zoom) გამოყენებით, მატერიალური რესურსის გაცნობა მოხდა დაწესებულების მიერ მოწოდებული ვიდეორგოლის საშუალებით. ამ გზით მივიღეთ ინფორმაცია ლაბორატორიების და ლაბორატორიული აღჭურვილობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მატერიალური რესურსების მუდმივად განვითარებასა და სრულყოფაზე ზრუნვა, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის შემდგომი მოდერნიზება. მაგალითად, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის გამოყოფა და დამოუკიდებელ სივრცეში განთავსება. არსებული ლაბორატორიული მოწყობილობების, მაგ: ავტოკლავის, ქრომატოგრაფის და სხვა შესაბამის სივრცეებში განთავსება. როგორც ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, გრანტის ფარგლებში იგეგმება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტში ბიოლოგიის მიმართულებაში BSL-2 დონის უსაფრთხოების ლაბორატორიის გაკეთება.

ვიზიტის ფარგლებში გასაუბრება შედგა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან. მან ისაუბრა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული) შესახებ, რომელიც სისტემატურად მდიდრდება უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ახალი წიგნებით. ბიბლიოთეკა ჩართულია სხვადასხვა ელექტრონული ბიბლიოთეკის საძიებო სისტემაში, ინტეგრირებულ ელექტრონულ კატალოგში (EVERGREEN) და გაწევრიანებულია EIFL-ის კონსორციუმში, რის შედეგადაც ხელმისაწვდომია საერთაშორისო ბაზები. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მიერ მოხდა ელექტრონული კატალოგით სარგებლობის დემონსტრირება და რამდენიმე სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურის მოძიება, ასევე სამეცნიერო ბაზებში მუშაობასთან უსდ-ს მიერ დამზადებული გზამკვლევები, ვიდეორგოლების ჩვენება. მიუხედავად ამისა, შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით იკვეთება, რომ აკადემიური პერსონალი ნაკლებად ფლობს ინფორმაციას აღნიშნული ბაზების შესახებ.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- <https://tesau.edu.ge/biblioteka>
 - მატერიალური რესურსების ამსახველი ვიდეორგოლი
 - პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები

- რეკომენდაციები:**
- რეკომენდებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p> <p>➤ პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ცენტრალიზებული ფინანსური გეგმა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში. თუმცა დოკუმენტაციაში წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ხარჯვით კატეგორიებს, რაც აუცილებელია ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის.</p> <p>ინტერვიუს დროს უსდ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლების გამოყენებით დაწესებულებას შეუძლია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა და ამასთან, რადგან მიიჩნევენ რომ ბიოლოგია პერსპექტიული და რეგიონში მოთხოვნადი დარგია, ექვგარეშეა საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი იქნება საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან სათანადო ფინანსური რესურსი.</p> <p>ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს გარდა აკადემიური და დამხმარე პერსონალის ხელფასებისა, სახელმძღვანელოების, მივლინების, სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის, ქსეროქსის და სხვადასხვა მომსახურების ხარჯებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ასევე ხდება დამატებითი ფინანსების გამოყოფა კვლევისთვის.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის/პროგრამის ბიუჯეტი • ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები <p>რეკომენდაციები:</p> <p>-----</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-----</p> <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-----</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-----</p> <p>შეფასება</p>
--

<p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</p> <p>➤ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა განიხილება როგორც სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი. უსდ-ში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს.</p> <p>უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება მოიცავს რამდენიმე ასპექტს: საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, პროგრამის განხორციელების შეფასება, სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასება, პროგრამის განვითარების პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) აზრისა და დამოკიდებულების კვლევა.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების სისტემა ეფუძნება რამდენიმე დოკუმენტს, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია, სილაბუსის ფორმა, შეფასებისთვის შემუშავებულ კითხვარებს. აღნიშნული დოკუმენტები დაწესებულების მიერ წარმოდგენლია თვითშეფასების ანგარიშის თანმხლებ დანართებში.</p>

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების სისტემა მოიცავს პროგრამის შეფასებისთვის უსდ-ს მიერ გამოყენებული ინდიკატორების ჩამონათვალს და მათ შორისაა სტუდენტების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დასაქმებლის გამოკითხვების ანალიზის შედეგები, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტების მობილობის მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, სწავლების შემდგომ საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად აღნიშნული ინდიკატორებით პროგრამის შიდა შეფასების განხორციელების შემდეგ შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების მიღწევის სრულყოფის მიზნით. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა აღნიშნული ინდიკატორების გამოყენებით შეფასდა საბაკალავრი საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ და მიღებული შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა მისი მოდიფიცირება რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში. მან ერთ-ერთ გაცემულ რეკომენდაციად დაასახელა სასწავლო კურსებში მრავალკომპონენტური შეფასების სისტემის ჩამოყალიბება.

ინტერვიუს დროს შიდა შეფასების მექანიზმებიდან ხუს-მა აქცენტი გააკეთა აკადემიური მოსწრების ანალიზზე და აღნიშნა, რომ ამ გზით ადგენენ სწავლა/სწავლების პროცესში არსებულ პრობლემებს და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს, კერძოდ, განსაზღვრავენ საგანმანათლებლო პროგრამაში ცალკეული სასწავლო კურსების სირთულის ხარისხს, რამდენად ადეკვატურია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები და სწორადაა შერჩეული სწავლების მეთოდები. აკადემიური მოსწრების მონიტორინგი კეთდება უსდ-ში ყოველი სემესტრის ბოლოს.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების სისტემით გათვალისწინებული პროფესორ მასწავლებლების შეფასების მექანიზმები (გამოკითხვები), რომლითაც დგინდება რა მიმართულებითაა საჭირო პერსონალის განვითარება. როგორც ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, სწორედ ასეთი გამოკითხვების საფუძველზე გაიარა ტრენინგები პერსონალმა დაკავშირებული ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით სამი კომპეტენციის მიხედვით, შეფასების სისტემასთან დაკავშირებით და სხვა.

სწავლების ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსით უსდ-ს მიერ განსაზღვრული საკონკურსო პირობების დაცვით და კონკურსანტის კვალიფიკაციის მიხედვით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ და სხვადასხვა ჯგუფთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. კერძოდ, დარგობრივი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით მოხდა პროგრამის შემუშავება, ცალკეული სილაბუსების ძირითადი შინაარსისა და სწავლის შედეგების განხილვა.

მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით დგინდება, რომ შიდა ხარისხის სამსახური პროგრამაში

<p>ჩართულ პერსონალთან ერთად ახდენს პროგრამის შეფასებას და ზრუნავს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, ვფიქრობთ, რომ შიდა ხარისხის შეფასების პროცესი საჭიროებს დახვეწას და დეტალებზე ორიენტირებულ მიდგომას. კერძოდ, მონიტორინგის პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართული, დაინტერესებული პირების მაქსიმალურ ჩართვას, სწავლების ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებისას პერსონალის მდგრადობის შეფასებას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების სისტემა • აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია • ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები (გამოკითხვების ფორმები და ანალიზის შედეგები, სწავლის შედეგების შეფასება, პერსონალის საქმიანობის შეფასებ) და • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შიდა ხარისხის შეფასება განხორციელდეს დეტალებზე ორიენტირებული მიდგომით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-----</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-----</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-----</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>➤ პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის შეფასებისთვის როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ინტერვიუს დროს აღნიშნა იყენებს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვებს. სამსახურს შემუშავებული აქვს გამოკითხვების ფორმები, რომლებიც წარმოდგენილია დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის დანართებში. აღნიშნული კითხვარების გამოყენებით მოხდა ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების და იმ დაწესებულებების გამოკითხვა, რომლებიც პროგრამის კურსდამთავრებულებს მოიაზრებენ თავიანთ დაწესებულებაში მნიშვნელოვანი კომპეტენციების მქონე კვალიფიციურ კადრად.</p>

გამოკითხვებში მონაწილეობა გასაუბრების დროს დაადასტურა კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლების ნაწილმა. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ გაკეთებულია გამოკითხვების ანალიზი, რომლებშიც დაფიქსირებულია დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულების შეთავაზებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში. პროგრამის და გამოკითხვების ანალიზის შედეგების გაცნობის, ვიზიტის დღეს შესაბამის ჯგუფებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა გაითვალისწინა გამოკითხულთა მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები, თუმცა არის საკითხები რაც პროგრამაში არ აისახა. მაგ: დამსაქმებლის მოთხოვნა მაღალი პასუხისმგებლობის მქონე კვალიფიციური კადრის მომზადებასთან დაკავშირებით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ არ ავითარებს კომპეტენციას „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“; ლაბორატორიული მუშაობების ელემენტარული უნარ-ჩვევების განვითარება - პროგრამის შემადგენელ მხოლოდ ორ სასწავლო კურსში ფიქსირდება სწავლების აღნიშნული ფორმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ფორმები და გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- პროგრამის გარე შეფასება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს გარე ხარისხის (დამსაქმებელი) შეფასებით მიღებული შედეგების გათვალისწინების მონიტორინგი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

➤ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში პერიოდულად მიმდინარეობს პროგრამის განხორციელებაზე მონიტორინგი და შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს სულ მცირე წელიწადში ორჯერ. წელიწადში ერთხელ ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვები მათი კმაყოფილებისა და საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ. სემესტრულად აწარმოებს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და არსებული პროგრამების განვითარების მონიტორინგს. ყოველი წლის ბოლოს ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. მუდმივად ხორციელდება ბაზრის მოთხოვნათა კვლევა, დამსაქმებლებთან შეხვედრებისა და უკუკავშირის ყურადღებით შესწავლა და პროგრამებში შესაძლო ასახვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და სხვადასხვა ჯგუფთან გასაუბრებამ აჩვენა შემუშავებული კითხვარების გამოყენებით უსდ-მ განახორციელა პროგრამის სტუდენტების (კმაყოფილების ანალიზი), პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება.

უსდ ცდილობს საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებითა და გაზიარებით საგანმანათლებლო პროგრამებში სხვადასხვა კომპონენტის სრულყოფას.

ინტერვიუს დროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსი, ამ სფეროს განვითარების ტენდენციები და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკა და პროგრამის კურიკულუმში მითითებულია ის უნივერსიტეტები, რომელთაც მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება აქვთ, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელებმა ვერ დაასახელეს კონკრეტულად რომელი უნივერსიტეტის რომელი სასწავლო კურსები იყო აღებული ანალოგი პროგრამებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები (გამოკითხვების ფორმები და ანალიზის შედეგები, სწავლის შედეგების შეფასება, პერსონალის საქმიანობის შეფასებები)
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ კურიკულუმი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
 სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: -37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნ. ლაჭავაძე

ნათია ლაჭავაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიორგი ჯაფარიძე

გიორგი ჯაფარიძე

ლევან ციციშვილი

ლევან ციციშვილი

ანი ბილანიშვილი

ანი ბილანიშვილი